



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაღაშვილი შოთა არონის ძე

ბაღაშვილი შოთა არონის ძე (დ. 29. I. 1918, თელავი), არქიტექტორი. საქართვე. დამს. არქიტექტორი (1966).

II მსოფლიო ომის მონაწილე. დაამთავრა საქართვე. ინდუსტრიული ინ-ტი (1941). მუშაობდა მშენებლობებზე და საპროექტო ორგანიზაციებში [„ქალაქმშენსახპროექტი“ (1967 - 69), თბილ. ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების ზონალური სამეცნ.-კვლ.ინ-ტი (1972-იდან) და სხვ.], ქ. რუსთავის მთავარ არქიტექტორად (1950 - 66), საქართვე. მშენებლობის სახელმწ. კომიტეტის სასოფლო მშენებლობის განყ-ბის უფროსად (1970 - 71) და სხვ. ნამუშევრები: რუსთავში – რუსთავის დეტალური დაგეგმარების პროექტი (1972; ლ. გოცაძესთან, დ. მელიქიშვილთან, ლ. სუმბაძესთან, ვ. ფაფერაშვილთან, თ. წერეთელთან ერთად), კულტ. და დასვენების პარკის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტი (1951; გ. გოგავასთან ერთად), ინდივიდ. მშენებლობის საცხოვრებელი სახლების პროექტების სერია (1955), მუს. სკოლა (1958; ლ. ჰაჭიბეილთან ერთად) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ., მ. შ. საბრძოლო ჯილდოები.

თბზ.: 1954 (თანაავტ.: ლ. სუმბაძე, ლ. კულაგა). Рустავი. Альбом–монография. М., 1954 (თანაავტ.: ლ. სუმბაძე, ლ. კულაგა).

ს. კინწურაშვილი

მ. მაისურაძე
